დივიდენდები აღიარებულია, როგორც ვალდებულება და გამოიქვითება კაპიტალიდან ანგარიშგების თარიღისათვის მხოლოდ მაშინ, თუ ისინი გაცხადებულია ანგარიშგების თარიღამდე ან თარიღით. დივიდენდები გაცხადებულია, როდესაც მათი შეთავაზება ანგარიშგების თარიღამდე ხდება, ან თუ ისინი შეთავაზებულია ან გაცხადებულია ანგარიშგების თარიღის შემდგომ პერიოდში, მაგრამ ფინანსური ანგარიშგების გამოცემამდე.

2.11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ვალდებულებას იმ საქონლისა თუ მომსახურებისთვის, რომელიც კომპანიამ შეიძინა მისი მომწოდებლებისგან ჩვეულებრივი ბიზნეს ოპერაციით. სავაჭრო ვალდებულებები კლასიფიცირდება, როგორც მიმდინარე ვალდებულებები, თუ გადახდის ვალდებულება არის ერთ წლამდე პერიოდში, თუ არა, როგორც გრძელვადიანი ვალდებულებები. ამჟამად კომპანიის მთლიანი სავაჭრო ვალდებულებების დაფარვა მოსალოდნელია საბალანსო ანგარიშგების თარიღიდან ერთ წლამდე პერიოდში და

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

კლასიფიცირებულია, როგორც მიმდინარე ვალდებულებები. სავაჭრო ვალდებულებები, თავდაპირველი აღიარებისას, ფასდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

2.12. უცხოურ ვალუტაში გახორციელებული ოპერაციები

უცხოურ ვალუტაში არსებული მონეტარული აქტივები და ვალდებულებები ანგარიშგების თარიღში გადაყვანილია კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში (ქართული ლარი, ₾), საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსის მიხედვით:

	USD / ₾	EUR / ₾
გაცვლითი კურსი 2023 წლის 31 დეკემბერს	2.69	2.98
საშუალო გაცვლითი კურსი 2023 წელს	2.63	2.84
გაცვლითი კურსი 2022 წლის 31 დეკემბერს	2.70	2.88
საშუალო გაცვლითი კურსი 2022 წელს	2.90	3.19
გაცვლითი კურსი 2021 წლის 31 დეკემბერს	3.10	3.50
საშუალო გაცვლითი კურსი 2021 წელს	3.19	3.75

ტრანზაქციის თარიღის შემდეგ მომხდარი კურსთაშორის სხვაობის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

უცხოურ ვალუტაში გამოხატული და ისტორიული ღირებულებით ასახული არამონეტარული აქტივები და ვალდებულებები ასახულია ტრანზაქციის თარიღისათვის მოქმედი გაცვლითი კურსის შესაბამისად.

2.13. იჯარა

კომპანია როგორც მოიჯარე

ნებისმიერი ახალი ხელშეკრულების დაწყებისას რომელიც დადებულია 2019 წლის 1 იანვარს ან მას შემდეგ, კომპანიამ უნდა შეაფასოს, მთლიანად ხელშეკრულება არის თუ არა იჯარა, ან შეიცავს თუ არა იჯარას.

იჯარა განმარტდება როგორც ხელშეკრულება, ან ხელშეკრულების ნაწილი, რომლის თანახმად სხვა მხარეს გადაეცემა აქტივის (საიჯარო აქტივის) გამოყენების უფლება გარკვეული პერიოდის განმავლობაში, ანაზღაურების მიღების სანაცვლოდ

ამ განმარტების გამოსაყენებლად კომპანიამ უნდა შეაფასოს:

- კონტრაქტი შეიცავს თუ არა იდენტიფიცირებული აქტივის გამოყენების კონტროლის უფლებას გარკვეული პერიოდის განმავლობაში. როგორც წესი, აქტივი პირდაპირ არის განსაზღვრული ხელშეკრულებაში. თუმცა, ასევე შესაძლებელია, რომ აქტივის იდენტიფიცირება არაპირდაპირი გზით მოხდეს იმ მომენტში, როდესაც აქტივი გამოყენებისთვის ხელმისაწვდომი ხდება მომხმარებლისთვის.
- ხელშეკრულებაში იდენტიფიცირებული აქტივიდან არსებითი სარგებლის მიღების უფლება. აქტივის გამოყენებით ეკონომიკური სარგებლის უმეტესი წილის მიღების უფლების არსებობის შეფასებისას, საწარმომ ეკონომიკური სარგებლის ის სახეები უნდა განიხილოს, რომლებიც აქტივის გამოყენებით მიიღება აქტივის გამოყენებაზე მომხმარებლის უფლებებისთვის დადგენილ გარკვეულ საზღვრებში. კომპანია განსაზღვრავს, როგორ და რა მიზნით გამოიყენება აქტივი გამოყენების პერიოდის განმავლობაში.

იჯარის შეფასება და აღიარება

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, კომპანია აღიარებს აქტივის გამოყენების უფლებას და საიჯარო ვალდებულებას ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის მოიჯარე აქტივის გამოყენების უფლებას თვითღირებულებით აფასებს. აქტივის გამოყენების უფლების თვითღირებულება უნდა მოიცავდეს: საიჯარო ვალდებულების თავდაპირველ შეფასებას; საიჯარო გადახდებს, რომლებიც უკვე განხორციელებულია იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან ამ თარიღამდე, მიღებული წამახალისებელი საიჯარო გადახდების გამოკლებით; მოიჯარის მიერ გაწეულ თავდაპირველ პირდაპირ დანახარჯებს და იმ დანახარჯების შეფასებას, რომლებსაც მოიჯარე გასწევს საიჯარო

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

აქტივის დემონტაჟისა და ლიკვიდაციის დროს, იმ ადგილის აღსადგენად, სადაც განთავსებულია აქტივი, ან საიჯარო აქტივის აღსადგენად ისეთ მდგომარეობაში მოყვანის მიზნით, რაც მოითხოვება საიჯარო ხელშეკრულების პირობებით, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ეს დანახარჯები გაწეულია მარაგის საწარმოებლად. მოიჯარეს ამგვარი დანახარჯების ვალდებულება წარმოეშობა ან იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, ან გარკვეულ პერიოდის განმავლობაში საიჯარო აქტივის გამოყენების შედეგად.

მოიჯარემ აქტივის გამოყენების უფლებას ცვეთას არიცხავს იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან შემდეგ ორ თარიღს შორის უფრო ადრინდელ თარიღამდე: აქტივის გამოყენების უფლების სასარგებლო მომსახურების ვადის დასრულებისა და იჯარის ვადის დასრულების თარიღი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღისთვის, მოიჯარემ საიჯარო ვალდებულება უნდა შეაფასოს იმ საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების მიხედვით, რომლებიც ამ თარიღისთვის განხორციელებული არ არის. საიჯარო გადახდების დისკონტირება უნდა განხორციელდეს იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთით, თუ აღნიშნული განაკვეთი არ არის ხელმისაწვდომი მოიჯარემ უნდა გამოიყენოს ზღვრული სასესხო განაკვეთი.

იჯარის ვადის დაწყების თარიღის შემდეგ მოიჯარე საიჯარო ვალდებულებას აფასებს შემდეგნაირად: ზრდის ღირებულებას საიჯარო ვალდებულებასთან დაკავშირებული პროცენტის ასახვით; ამცირებს საბალანსო ღირებულებას განხორციელებული საიჯარო გადახდების ასახვით; და თავიდან აფასებს საბალანსო ღირებულებას საიჯარო გადახდების ცვლილებების შემთხვევაში.

მოიჯარის მიერ საიჯარო ვალდებულების თავიდან შეფასებისას კორექტირდება აქტივის გამოყენების უფლება იჯარის ყველა სხვა მოდიფიკაციის გათვალისწინებით, ხოლო იმ შემთხვევაში თუ აქტივის გამოყენების უფლება ნულის ტოლია, მოიჯარემ მოგება/ზარალში უნდა აღიაროს ნებისმიერი მოდიფიკაცია.

კომპანიამ გადაწყვიტა გამოიყენოს განთავისუფლების უფლება და მოკლევადიან იჯარასთან, ან დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივის იჯარასთან მიმართებით დაკავშირებული საიჯარო გადახდები აღიაროს ხარჯის სახით იჯარის ვადის განმავლობაში, წრფივი მეთოდით.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, აქტივის გამოყენების უფლება შესაძლოა აღირიცხოს ძირითად საშუალებებში ან განცალკევებულად, ხოლო საიჯარო ვალდებულება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში ან განცალკევებულად.

2.14. მოგების გადასახადი

საქართველოში მოქმედი კომპანიების მიერ მიღებული წლიური მოგება გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, მოგების გადასახადით არ იბეგრება 2017 წლის 1 იანვრიდან. მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ მფლობელებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში განაწილებულ თანხაზე $(1/85\% \times 15\%)$ ოდენობის დარიცხვით. კომპანიებს უფლება ექნებათ ჩაითვალოს 2008-2016 წლებში მიღებული მოგებიდან განაწილებულ დივიდენდებთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ვალდებულება, არსებული ნორმატიული აქტების მიხედვით შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი მოგების გადასახადის ოდენობით. საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის დივიდენდის განაწილება არ იბეგრება მოგების გადასახადით. კომპანიის მფლობელებზე გასანაწილებელ დივიდენდებზე გადასახდელი გადასახადის დაკავების აღიარება კაპიტალიდან გამოქვითვის სახით ხდება, კაპიტალის ცვლილების ანგარიშგებაში. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშობათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

2.15. ანარიცხები (რეზერვები)

თუ წარსული მოვლენების შედეგად, საანგარიშგებო თარიღის მომენტისთვის კომპანიას აქვს მიმდინარე ვალდებულება (იურიდიული ან კონსტრუქციული) და სავარაუდოა, რომ კომპანია შეასრულებს ამ ვალდებულებას, მაშინ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარდება ანარიცხები. ანარიცხები ფასდება ვალდებულების დასაფარად საჭირო თანხით და დისკონტირდება მიმდინარე ღირებულებამდე განაკვეთით, რაც ასახავს დროში ფულის ღირებულების ცვლილებას და ამ ვალდებულებასთან დაკავშირებულ რისკებს მიმდინარე საბაზრო პირობებით. შეფასებებში ცვლილება აისახება შესაბამისი პერიოდის მოგება-ზარალში.

2.16. სააღრიცხვო პოლიტიკაში მომხდარი ცვლილებები

2. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

2.16.1 ახალი სტანდარტების, ინტერპრეტაციებისა და შესწორებების მიღება:

ა) 2020 წლის პირველი იანვრის შემდეგ ძალაში მყოფი ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები:

- კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო შეღავათები (ცვლილებები ფასს 16-ში);

2020 წლის 1 იანვრის ძალაში შევიდა ცვლილებები ფასს 16-ში, რომელიც გამოიყენება საიჯარო ქირის იმგვარ დათმობასთან მიმართებით, რომლებიც წარმოიშობა კოვიდ-19-ის პანდემიის პირდაპირი შედეგის სახით და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დაკმაყოფილებული იქნება ყველა შემდეგი პირობა:

- (ა) საიჯარო გადახდების ცვლილება იწვევს იჯარის ანაზღაურების ოდენობის ცვლილებას/გადახედვას, მაგრამ იჯარის ანაზღაურების შესწორებული ოდენობა ძირითადად იგივეა ან ნაკლებია იჯარის ანაზღაურების იმ ოდენობაზე, როგორც იყო უშუალოდ საიჯარო გადახდების ცვლილების წარმოშობამდე;
- (ბ) საიჯარო გადახდების შემცირება ეხება მხოლოდ ისეთ გადახდებს, რომლებიც თავდაპირველი ხელშეკრულების თანახმად გადახდას ექვემდებარებოდა არაუგვიანეს 2022 წლის 30 ივნისისა; და
- (გ) იჯარის ვადებსა და პირობებში არ შესულა სხვა არსებითი ცვლილებები.

საიჯარო ქირის დათმობები, რომლებიც აკმაყოფილებს ზემოაღნიშნულ პირობებს, შეიძლება აღრიცხულ იქნას გამარტივებული მიდგომის შესაბამისად, რაც ნიშნავს, რომ მოიჯარე არ შეაფასებს, იჯარის მოდიფიკაციას წარმოადგენს თუ არა საიჯარო ქირის დათმობა. დათმობების აღრიცხვისას მოიჯარეები იყენებენ ფასს 16-ის სხვა მოთხოვნებს.

2.16.2 სხვა სტანდარტები

2020 წლის 1 იანვრის შემდეგ შევიდა ძალაში რამდენიმე ახალი სტანდარტი და ინტერპრეტაცია, თუმცა არცერთი მათგანი არსებით გავლენას არ ახდენს კომპანიის ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაზე:

- ფასს 3 - საწარმოთა გაერთიანება (შესწორება - ბიზნესის განმარტება);
- საპროცენტო განაკვეთის ზღვრის რეფორმა - IBOR „ფაზა 2“ (შესწორება - ფასს 9, ბასს 39 და ფასს 7);
- ბასს 1 - ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და ბასს 8 - სააღრიცხვო პოლიტიკა, ცვლილებები სააღრიცხვო შეფასებებში და შეცდომები (შესწორება - არსებითის განმარტება); და
- ფინანსური ანგარიშგების განახლებული კონცეპტუალური საფუძვლები.

2.16.3 ახალი სტანდარტები, ინტერპრეტაციები და შესწორებები, რომლებიც გამოიცა, მაგრამ ჯერ არ არის ძალაში შესული:

2020 წლის იანვარში, ბასს-მა გამოსცა ცვლილებები ბასს 1-ში, რომელიც აზუსტებს კრიტერიუმებს ვალდებულებების კლასიფიკაციისთვის მოკლევადიან და გრძელვადიან ვალდებულებებად. აღნიშნული ცვლილებების მიხედვით, ვალდებულების მოკლევადიან ან გრძელვადიან ვალდებულებად კლასიფიცირება დამოკიდებულია, მიმდინარე საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს აქვს თუ არა კომპანიას უფლება გადაავადოს ვალდებულების დაფარვა სულ მცირე 12 თვის განმავლობაში საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ.

შესწორებები ასევე აზუსტებს, რომ „ვალდებულების დაფარვა“ მოიცავს ფულადი სახსრების, საქონლის, მომსახურების ან წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემას, თუ წილობრივი ინსტრუმენტების გადაცემის ვალდებულება არ წარმოიშობა ფინანსური ინსტრუმენტის შემადგენელი

გადაცვლის პირობით, რომელიც კლასიფიცირებულია წილობრივ ინსტრუმენტად, ვალდებულების კომპონენტისგან განცალკევებით.

ცვლილებები თავდაპირველად ძალაში უნდა შესულიყო 2022 წლის 1 იანვარს და აქტიური იქნებოდა შემდგომ საანგარიშგებო პერიოდებში. თუმცა, 2020 წლის მაისში ბასს 1-ის ცვლილებების ამოქმედების თარიღი გადავადდა 2023 წლის 1-ელ იანვრამდე.

ამჟამად, კომპანია აფასებს ცვლილებების მოსალოდნელ გავლენას მის ფინანსურ ანგარიშგებაზე. ხელმძღვანელობის შეფასებით, ბასს 1-ში შესულ ცვლილებებს არ ექნება არსებითი გავლენა კომპანიის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე, რადგან მისი სავალდებულო ინსტრუმენტები არ მოიცავენ კონვერტაციის პირობას.

კომპანიას არ მოელოს, რომ ბასს-ის მიერ გამოშვებულ ზემოთ აღწერილ ახალ სტანდარტებს ექნება არსებითი გავლენა მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ძირითადი სააღრიცხვო შეფასებები და გადაწყვეტილებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშების მომზადება მოითხოვს ხელმძღვანელობისგან შეფასებებს და დაშვებებს კომპანიის სამომავლო ფუნქციონირებაზე. ეს შეფასებები და დაშვებები ეყრდნობა წარსულ გამოცდილებასა და მრავალ სხვა ფაქტორს, რომლებიც გარემოებათა გათვალისწინებით მიზანშეწონილად მიიჩნევა. ფაქტობრივი შედეგები შესაძლოა განსხვავდებოდეს ამგვარი შეფასებებისგან სხვადასხვა დაშვებებისა თუ პირობების მიხედვით. ქვემოთ მოცემულია შეფასებები და დაშვებები, რომლებიც მნიშვნელოვანია კომპანიის ფინანსური მდგომარეობისთვის და ფინანსური შედეგებისთვის.

მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი

კომპანია რეგულარულად ამოწმებს თავის სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს გაუფასურების შესაფასებლად. ბუღალტრული აღრიცხვის მიზნებისთვის ფასს 9-ის მიხედვით ანარიცხი დამოკიდებულია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე (ECL), რომელიც განისაზღვრება შემდგომი თორმეტი თვის განმავლობაში დეფოლტის ალბათობით, თუ არ მოხდა მნიშვნელოვანი ზრდა საკრედიტო რისკში წარმოშობის შემდგომ. თუ ფინანსური აქტივი შეესაბამება “შემქნილი ან შექმნილი გაუფასურებული ფინანსური აქტივების” (POCI)-ის განმარტებას, ანარიცხი დამოკიდებულია ELC-ის ცვლილებაზე აქტივის სასიცოცხლო ვადის განმავლობაში. როგორც მე-10 შენიშვნაში არის ნაჩვენები, მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი 2023 და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 283 ათას ლარს და 158 ათას ლარს, შესაბამისად.

დაკავშირებული მხარის ოპერაციები

ჩვეულებრივ, კომპანია აწარმოებს ოპერაციებს დაკავშირებულ მხარეებთან. ფასს 9 მოითხოვს, გარკვეული ფინანსური ინსტრუმენტების თავდაპირველ აღიარებას მათი სამართლიანი ღირებულებით. მსჯელობა გამოიყენება იმის გასასაზღვრათ, შეესაბამება თუ არა ტრანზაქცია საბაზრო თუ არა საბაზრო ღირებულებას, იმ შემთხვევაში, როდესაც მსგავსი ტრანზაქციისთვის არ არსებობს აქტიური ბაზარი. დაშვების საფუძველს წარმოადგენს მსგავსი ტრანზაქციების ღირებულება არადაკავშირებულ მხარეებთან.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ექვემდებარება არაერთმნიშვნელოვან ინტერპრეტაციას. კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში არსებობს ისეთი ოპერაციები, რომელთათვისაც ნათლად არ არის განსაზღვრული ამა თუ იმ გადასახადთან დაკავშირებული საკითხები. შედეგად, კომპანია აფასებს, ეკისრება თუ არა მას დამატებითი გადასახადების გადახდის ვალდებულება და მათზე დაყრდნობით აღიარებს საგადასახადო ვალდებულებებს. ეს საგადასახადო ვალდებულებები აღიარდება მაშინ, როდესაც კომპანიას მიაჩნია თავისი საგადასახადო დეკლარაციები საიმედოდ, მაგრამ იგი თვლის, რომ შესაძლოა საგადასახადო ორგანოების მხრიდან გარკვეული პოზიცია იყოს განსხვავებული. შედეგად კომპანია ცდილობს მინიმუმამდე დაიყვანოს აღნიშნული რისკი.

4. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	დაუმთავრებელი მშენებლობა	შენობა ნაგებობა	სატრანსპორტო საშუალებები	ავეჯი და ოფისის ტექნიკა	მანქანა დანადგარები	არამატერიალური აქტივები	სულ
ღირებულება								
01 იანვარი 2022	287	0	731	192	31	17	6	1 264
შემენა	0	173	7	0	3	1	0	184
გასვლა	0	0	0	-18	0	0	0	-18
31 დეკემბერი 2022	287	173	738	174	34	18	6	1 430
შემენა	0	36	0	36	61	9	0	142
გადასვლა	0	-209	209	0	0	0	0	0
გასვლა	0	0	0	-3	-2	0	0	-5
31 დეკემბერი 2023	287	0	947	207	93	27	6	1 567
01 იანვარი 2022	0	0	41	29	11	7	1	89
პერიოდის ცვეთა	0	0	15	17	3	2	0	37
გასვლა	0	0	0	-2	0	0	0	-2
31 დეკემბერი 2022	0	0	56	44	14	9	1	124
პერიოდის ცვეთა	0	0	17	21	4	2	0	44
გასვლა	0	0	0	0	0	0	0	0
31 დეკემბერი 2023	0	0	73	65	18	11	1	168
ნარჩენი ღირებულება								
01 იანვარი 2022	287	0	690	163	20	10	5	1 175
31 დეკემბერი 2022	287	173	682	130	20	9	5	1 306
31 დეკემბერი 2023	287	0	874	142	75	16	5	1 399

კომპანიის შენობა-ნაგებობების ძირითადი ნაწილი დაგირავებულია სესხის უზრუნველსაყოფად.

5. საინვესტიციო ქონება

	მენობა-ნაგებობა	სულ
ბალანსი 01-იან-2023	151	151
შეძენა	-	-
გასვლა	-	-
ბალანსი 31-დეკ-2023	151	151
აკუმულირებული ამორტიზაცია 01-იან-2023	37	37
ამორტიზაციის ხარჯი	3	3
ამორტიზაცია გასულ აქტივებზე	-	-
აკუმულირებული ამორტიზაცია 31-დეკ-2023	40	40
ნარჩენი ღირებულება 01-იან-2023	114	114
ნარჩენი ღირებულება 31-დეკ-2023	111	111

საინვესტიციო ქონება წარმოადგენს კომერციულ ფართს, რომლის მისამართია: როსტევეანის ქუჩა N8, თბილისი, საქართველო. საინვესტიციო ქონება აღირიცხება თვითღირებულებით დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლების შედეგად მიღებული თანხით.

6. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
ფული სალაროში	3	1
ფული ბანკში "სს ქართუ ბანკი"	1	0
ფული ბანკში "სს თიბისი ბანკი"	61	46
ფული ბანკში "სს პროკრედიტ ბანკი"	53	1 016
ფული ბანკში "სს საქართველოს ბანკი"	2	9
ჯამი	120	1072

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	31.დეკ.2023	31.დეკ.2023
სავაჭრო მოთხოვნები დაკავშ. მხარეებისგან	1 397	348
სხვა სავაჭრო მოთხოვნები	584	1 090
გაუფასურების რეზერვი	(283)	(158)
სულ სავაჭრო მოთხოვნები, წმინდა	1 698	1 280
გადახდილი ავანსები	2 088	3 790
მოთხ.პარტნიორებზე გაცემული სესხიდან	737	143
საგადასახადო აქტივები	36	411
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2	7
სულ სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	4 561	5 631

მოთხოვნების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არა არის არსებითი. პერიოდის განმავლობაში გაუფასურების რეზერვის ცვლილება მოცემულია ქვემოთ ცხრილში:

შპს „აგრო მოტორსი“
 ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
 2022 წლის 31 დეკემბერი
 (ათას ქართულ ლარში)

	2023 წელი	2022 წელი
1 იანვარი	158	91
პერიოდის რეზერვის ხარჯი	125	67
31 დეკემბერი	283	158

8. მარაგი

მარაგები ძირითადად შედგება გასაყიდად გამოზნული სასოფლო სამეურნეო ტექნიკისაგან და მარაგ ნაწილებისგან

9. კაპიტალი

კომპანიის კაპიტალი შედგება საწესდებო კაპიტალისა და გაუნაწილებელი მოგებისგან, რომელიც კომპანიას დაუგროვდა წლების განმავლობაში.

2022 წლის დასაწყისში კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეადგენდა 24 ათასი ლარს, გაუნაწილებელი მოგება 15 ათას ლარს. საანგარიშგებო წლის განმავლობაში კაპიტალი შემცირდა 22 ათასი ლარით და კომპანიამ მიიღო 979 ათასი ლარის მოგება.

დივიდენდი გაცემა 2022 წლის განმავლობაში არ მომხდარა.

2023 წელს კომპანიამ მიიღო 1 879 ათასი ლარის მოგება, 2023 წლის გაიცა 375 ათასი ლარის დივიდენდი

ყოველივე ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კომპანიის კაპიტალმა 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგინა 2 500 ათასი ლარი.

10. სესხები

სასესხო ვალდებულებები	%	31.დეკ.2023	31.დეკ.2022
გრძელვადიანი სესხი სს „პროკრედიტ ბანკისგან“ EUR 125	6,0%	240	265
გრძელვადიანი სესხი სს „პროკრედიტ ბანკისგან“ USD 155	6%.; 7,62%	173	215
YURY KOROTCHENKO 1000 USD	3,0%	2 689	2 702
სულ გრძელვადიანი სესხები		3 102	3 182
სს „პროკრედიტ ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი EUR 125	6,0%	33	31
სს „პროკრედიტ ბანკისგან“ სესხის მოკლევადიანი ნაწილი USD 185	6%.; 7,62%	41	56
მოკლევადიანი სესხი სს „პროკრედიტ ბანკისგან“ EUR 379	6%;	1 100	1 065
მოკლევადიანი სესხი სს „პროკრედიტ ბანკისგან“ USD 190	7%, 7,5%	511	0
მოკლევადიანი სესხი აკაკი გოგსაძე USD	0,0%	-	513
მოკლევადიანი სესხი აკაკი გოგსაძე EUR	0,0%	1 116	1 517
სულ მოკლევადიანი სესხები		2 801	3 182
სალიზინგო ვალდებულებები		31.დეკ.2023	31.დეკ.2022
სს თი ბი სი ლიზინგი USD	10,5%	71	704
სს თი ბი სი ლიზინგი EUR	9,0%	80	924
სულ სალიზინგო ვალდებულებები		151	1 628

შპს „აგრო მოტორსი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

ლიზინგით მიღებული აქტივი გამოყენების უფლებით კომპანიისთვის წარმოადგენს გასაყიდ ტექნიკას, ანუ მარაგს. შესაბამისად მას არ ერიცხება ცვეთა, ხოლო ყოველთვიურ სალიზინგო ვალდებულებას კომპანია ჩამოწერს ხარჯებში.

11. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31.დეკ.2023	31.დეკ.2022
სავაჭრო ვალდებულებები დაკავშ. მხარეების მიმართ	101	31
სხვა სავაჭრო ვალდებულებები	273	2 466
მიღებული ავანსები	507	3 000
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	881	5 497

სავაჭრო და სხვა ვალდებულებების სამართლიან ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა არაა არსებითი.

მიღებული ავანსები მთლიანად შედგება მომავალი რეალიზაციისთვის წინასწარ ჩარიცხულ თანხებისგან.

12. შემოსავალი

საოპერაციო შემოსავლები	2023 წელი	2022 წელი
შემოსავალი უცხოეთში გაყიდული საქონლიდან	29 594	23 183
შემოსავალი გაყიდული ტექნიკიდან	7 211	8 981
შემოსავალი გაყიდული მარაგნაწილებიდან	396	890
შემოსავალი გაწეული მომსახურებიდან	289	252
სხვა შემოსავალი	769	92
ჯამი	38 259	33 398

13. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

რეალიზებული საქონლის თვითღირებულება	2023 წელი	2022 წელი
უცხოეთში გაყიდული საქონლის თვითღირებულება	27 129	22 094
გაყიდული ტექნიკის თვითღირებულება	6 126	7 228
გაყიდული მარაგნაწილების თვითღირებულება	477	764
პირდაპირი ხელფასი	245	182
გაწეული მომსახურების თვითღირებულება	145	117
უსასყიდლოდ მიწოდებული საქონლის თვითღირებულება	76	116
სხვა თვითღირებულებების ხარჯები	5	41
ჯამი	34 203	30 542

14. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

	2023 წელი	2022 წელი
თანამშრომელთა კომპენსაცია	1 068	1 392
სხვა საოპერაციო ხარჯები	96	76
მოთხოვნების გაუფასურების ხარჯი	125	67
მივლინების ხარჯი	88	65
საწვავის ხარჯი	34	47
წარმომადგენლობითი ხარჯი	34	43
ცვეთა და ამორტიზაციის ხარჯი	48	40

შპს „აგრო მოტორსი“
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
2022 წლის 31 დეკემბერი
(ათას ქართულ ლარში)

რემონტის და საექსპლუატაციო ხარჯი	37	31
ოფისის და სამეურნეო ხარჯი	52	25
ჯარიმა დაგვიანებაზე	77	1
აუდიტის ხაჯრი	8	-
ბანკის საკომისიო ხარჯი	9	15
ქონების გადასახადი	11	10
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	1 687	1 812

15. ფინანსური ხარჯი

ფინანსური ხარჯი	2023 წელი	2022 წელი
სესხის პროცენტის ხარჯი	437	169
ტენდერში მონაწილეობის საკომისიო ხარჯი	-	-
სულ ფინანსური ხარჯი	437	169
საპროცენტო შემოსავლები	(56)	(11)
ჯამი	381	158

16. საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/(ზარალი)

საკურსო სხვაობის შედეგი	2023 წელი	2022 წელი
საკურსო სხვაობით მიღებული მოგება/ზარალი	(104)	119
ჯამი	(104)	119

17. პირობითი ვალდებულებები და გაუთვალისწინებელი გარემოებები

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო სისტემა შედარებით ახალია და შესაბამისი კანონმდებლობა ხასიათდება ხშირი ცვლილებებით, ოფიციალური განცხადებებით და სასამართლო გადაწყვეტილებებით, რომლებიც ზოგჯერ გაურკვეველია, არსებობს ურთიერთგამომრიცხავი და ინტერპრეტირებას დაქვემდებარებული დებულებები. საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევის შემთხვევაში, საგადასახადო უწყებებს არ შეუძლიათ დააკისრონ კომპანიას დამატებითი გადასახადები ან ჯარიმები, თუ დარღვევის ჩადენის წლის ბოლოდან გასულია სამი წელი.

საქართველოში ამ გარემოებებმა შეიძლება შექმნას საგადასახადო რისკი, რომელიც უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. მენეჯმენტი თვლის, რომ საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის, ოფიციალური განცხადებების და სასამართლო გადაწყვეტილებების მისეულ ინტერპრეტაციაზე დაყრდნობით, იგი საგადასახადო ვალდებულებების შესრულებას ადეკვატურად უზრუნველყოფს. თუმცა შესაბამისი უწყებების მიერ გაკეთებული ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავებული იყოს და ამ ინტერპრეტაციების განხორციელებამ შეიძლება მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაზე.

სასამართლო დავები

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მეტიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის აღიარებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასამართლო დავებთან დაკავშირებით და არც პირობითი ვალდებულების სახით ასახული წინამდებარე განმარტებით შენიშვნაში.

18. ფინანსური რისკების მართვა

საოპერაციო, საინვესტიციო და ფინანსური საქმიანობის განხორციელებისას კომპანიას გააჩნია შემდეგი ფინანსური რისკები:

- საკრედიტო რისკი: ალბათობა იმისა, რომ მსესხებელი (დებიტორი) ვერ შეძლებს გადაიხადოს მთლიანი სესხი (დავალიანება) ან მისი ნაწილი, ან ვერ შეძლებს სესხის დროულად დაფარვას, რაც გამოიწვევს ზარალს კომპანიისთვის;
- ლიკვიდობის რისკი: რისკი იმისა, რომ კომპანიას არ ექნება, ან ვერ ამოიღებს ნაღდ ფულს საჭირო დროს და ამის შედეგად აღმოჩნდება სირთულეების წინაშე ფინანსურ ვალდებულებებთან დაკავშირებული მოვალეობების შესრულების თვალსაზრისით;
- საბაზრო რისკები: რისკი იმისა, რომ საბაზრო ფასების ცვალებადობის შედეგად შეიცვლება ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულება ან ფულადი სახსრების მომავალი ნაკადები სამართლიანი ღირებულების თვალსაზრისით. კომპანია ექვემდებარება საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო რისკებს საბაზრო რისკის ძირითადი სამი კომპონენტიდან.

აღნიშნული რისკების ეფექტურად მართვის მიზნით, კომპანია იყენებს შემდეგ ძირითად პრინციპებს:

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

- საპროცენტო განაკვეთის, ვალუტის და ფასების რისკების მინიმუმამდე შემცირება ყველა სახის ტრანზაქციისათვის;
- “ბუნებრივი ჰეჯირების“ მაქსიმალური გამოყენება შემოსავლების და ხარჯების, მოთხოვნების და ვალდებულებების ერთ ვალუტაში დენომინირების მცდელობით. ანალოგიური სტრატეგია გამოიყენება საპროცენტო განაკვეთის რისკთან მიმართებაში;
- ფინანსური რისკების მართვის ღონისძიებები ხორციელდება გონივრულად და თანმიმდევრულად, ბაზრის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში შეჯამებულია ფინანსური აქტივების და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულება კატეგორიების მიხედვით:

ფინანსური აქტივები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	4 844	5,789
ფული და ფულის ეკვივალენტები	120	1,072
ჯამი	4 964	6,861

ფინანსური ვალდებულებები	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სესხი	6 054	7,992
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	881	5,497
ჯამი	6 935	13,489

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი, რომ ფინანსური ინსტრუმენტის ან მყიდველთან დადებული ხელშეკრულების ერთი მხარე ვერ შეასრულებს ვალდებულებას და გამოიწვევს ფინანსური ზარალის დადგომას მეორე მხარისთვის. კომპანია აკონტროლებს საკრედიტო რისკს და ცდილობს მხოლოდ სანდო კონტრაგენტებთან ჰქონდეს ურთიერთობა. კომპანიის მაქსიმალური საკრედიტო რისკი:

საკრედიტო რისკი	31-დეკ-2023	31-დეკ-2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები (გაუფასურების რეზერვამდე)	4 844	5,789
ფულადი სახსრები ბანკში	117	1,071
ჯამი	4 961	6,860

ლიკვიდურობის რისკი - ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი

კომპანია მართავს ლიკვიდობის რისკს, დაფარვის მოსალოდნელი ვადებიდან გამომდინარე.

შემდეგ ცხრილებში მოცემულია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დასაფარი ვადებით (სახელშეკრულებო და არადისკონტირებული ფულადი ნაკადები)

17. ფინანსური რისკების მართვა (გაგრძელება)

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	5,789	-	-	5,789
31-დეკ-2022	5,789	-	-	5,789

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სავაჭრო მოთხოვნები	1,698	-	-	1,698
31-დეკ-2023	1,698	-	-	1,698

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხი	4,803	3,103	79	7,985
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	5,497	-	-	5,497
31-დეკ-2022	10,300	3,103	79	13,482

	1 წელზე ნაკლები	1-დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
სესხი	2 950	3 022	82	6 054
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	881	-	-	881
31-დეკ-2023	3 831	3 022	-	6 935

ამჟამად კომპანია თვლის, რომ გადაიხდის ყველა ვალდებულებას საკონტრაქტო ვადაში. ამისათვის კომპანია ელოდება საკმარის ფულად ნაკადებს საოპერაციო საქმიანობიდან.

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი ძირითადად ეხება საბანკო სესხებს (შენიშვნა 15). ბანკი იტოვებს უფლებას, გაზარდოს ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი, მითითებულ საკრედიტო ხელშეკრულებაში, თუ საბაზრო განაკვეთები გაიზარდება. მენეჯმენტი არ ელოდება საბაზრო საპროცენტო განაკვეთების არსებით ცვლილებას.

სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში დენომინირებული აქტივები და ვალდებულებები იწვევენ სავალუტო რისკს. კომპანიას არ აქვს ფორმალური პროცედურები სავალუტო რისკის მართვასთან მიმართებაში, თუმცა ხელმძღვანელობა საკუთარ თავს მიიჩნევს კარგად ინფორმირებულად ეკონომიკაში მიმდინარე მოვლენების შესახებ და ისინი დგამენ გარკვეულ ნაბიჯებს სავალუტო რისკის შესამცირებლად.

19. დაკავშირებული მხარეები

დაკავშირებული მხარეები ან ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან, როგორც განსაზღვრულია ბასს 24 -ით „შენიშვნები დაკავშირებული მხარეების შესახებ“, წარმოადგენს :

მხარეებს, რომლებიც პირდაპირ ან ირიბად ერთი ან მეტი შუამავლის მეშვეობით: აკონტროლებს ან კონტროლდება, ან არის საერთო კონტროლის ქვეშ დაქვემდებარებული კომპანია (მათ შორის, მშობლები, შვილობილი კომპანიები და თანამზრახველები); ფლობს წილს კომპანიაში, რომელიც აძლევს მნიშვნელოვანი გავლენის შესაძლებლობას და რომელსაც აქვს კომპანიაზე ერთობლივი კონტროლი;

- ა) პარტნიორი საწარმო - საწარმოები, რომლებზეც კომპანიას აქვს მნიშვნელოვანი გავლენა და რომელიც არ არის არც შვილობილი კომპანია და არც ერთობლივი საწარმო.
- ბ) ერთობლივი საწარმოები, სადაც კომპანია წარმოადგენს საწარმოს;
- გ) კომპანიის ან მისი მშობლის მმართველი პერსონალი.
- დ) ოჯახის ახლო წევრები, რომელიც ნახსენებია (ა) ან (დ)-ში;
- ე) მხარე, რომელიც კონტროლდება, ერთობლივად კონტროლდება ან განიცდის მნიშვნელოვან გავლენას, ან რომელზეც მნიშვნელოვანი ხმის უფლება აქვს, პირდაპირ ან ირიბად, (დ) ან (ე)-ში ნახსენებ ინდივიდუალებს.
- ვ) დასაქმების შემდგომი შეღავათების სისტემა თანამშრომლებისთვის ან მხარისთვის, რომელიც არის დაკავშირებული კომპანია.

ქვემოთ მოცემულ ცხრილებში წარმოდგენილია ინფორმაცია 2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებულ მხარეებთან არსებული ნაშთებისა და ტრანზაქციების შესახებ.

ტრანზაქციები დაკავშირებულ მხარეებთან არის შემდეგი:

ტრანზაქციების ოდენობა:	2023	2022
გაყიდვები მენეჯმენტზე კონტროლირებულ საწარმოზე	29 873	2,254
შესყიდვები მენეჯმენტის მიერ კონტროლირებულ საწარმოზე	92	566
მენეჯმენტის ანაზღაურება	496	375

ნაშთები	31 დეკემბერი 2023	31 დეკემბერი 2022
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	1 397	495
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	101	31

20. საანგარიშო პერიოდის შემდგომი მოვლენები

2024 წლის კომპანიამ აიღო 40 000 ევროს სესხი.